

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №002

2019 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, მე-9 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ თანდართული ინსტრუქცია.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორი

ლევან სურგულაძე

